# 2022 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

GCSD TRC

# 2022 წლის ანგარიში
# ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის
# შესახებ

## ანგარიშის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის შესახებ 2022 წელს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო მედია პლატფორმებზე გავრცელებული ინფორმაციის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მეტწილად ტერორიზმის კვლევითი ცენტრის მიერ ზემოთხსენებულ პერიოდში მომზადებულ ახალი ამბების ყოველკვირეულ მიმოხილვას ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას ისეთი მედია საშუალებების დახმარებით იღებს, როგორებიცაა: Deutsche Welle, BBC, CNN, The Washington Post, Al Jazeera, Independent, France24, Reuters და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ანგარიში ძირითადად მედია საშუალებების დახმარებით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა, მონაცემები მხოლოდ კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს ასახავს.

## დოკუმენტის ციტირების წესი

ფარსადანიშვილი, ბ., ლომიძე, ნ. & ფეიქრიშვილი, გ. (2022). 2022 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. ტერორიზმის კვლევითი ცენტრი.

TRC

## ტერორიზმის კვლევითი ცენტრის შესახებ

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://trc.gcsd.org.ge/

# სარჩევი


შესავალი 4

1 წელი კაპიტოლიუმზე თავდასხმიდან: ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ მიღებული სამართლებრივი ზომები 5

2022 წელს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები: დარია დუგინას მკვლელობა და თავდასხმა იჟევსკის 88-ე საჯარო სკოლაზე 7

გერმანიის ანტისემიტიზმთან გამკლავების ახალი ეროვნული სტრატეგია 8

ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი იაპონიაში: შინძო აბეს მკვლელობა და ფუსაკუ შიგენობუს გათავისუფლება 9

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში; ალ-ზავაჰირის ლიკვიდაცია 12

ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი აფრიკის კონტინენტზე: M23 კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში; აფრიკული სახელმწიფოები იარაღის ემბარგოს წინააღმდეგ 14

21 წელი 11 სექტემბრის თავდასხმიდან: 2022 წელს ალ კაიდას მიერ გამოქვეყნებული სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ 18

დასკვნა 20

გამოყენებული მასალები 21

# შესავალი

ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს, რაც ხშირად ექსტრემისტული იდეოლოგიების მქონე პირების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ფარგლებში ძალადობრივი ქმედებების მიმართვის ფორმას იღებს. ძალადობრივი ექსტრემისტული ერთეულები ხშირად სამიზნეში იღებენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების მოტივაციას შეიძლება არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლა, გარკვეული იდეოლოგიის ან მიზნის პოპულარიზაცია, ან შურისძიებას წარმოადგენდეს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის შედეგები ხშირ შემთხვევაში გამანადგურებელია. სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის და ჯანმრთელობის დაზიანებასთან ერთად, ტერორისტული თავდასხმები ითვალისწინებს საზოგადოებაში შიშის და შფოთის დათესვას. ამასთანავე, ტერორიზმს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, მის პოლიტიკურ დღის წესრიგზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლა მულტისექტორულ მიდგომას საჭიროებს. ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წარმატებული პრევენცია მოითხოვს სადაზვერვო სამსახურების, სამართალდამცავი და კონტრტერორისტული ერთეულების შესაძლებლობების გაძლიერებას, და საერთო ძალისხმევას იმ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც რადიკალიზაციას უწყობენ ხელს.

# 1 წელი კაპიტოლიუმზე თავდასხმიდან: ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ მიღებული სამართლებრივი ზომები

2022 წლის 6 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა შეფასებითი დოკუმენტი 2021 წლის 6 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტოლიუმის შენობაზე თავდასხმის და თანმდევი სამართლებრივი პროცედურების შესახებ. აღნიშნული ანგარიშის ფარგლებში შეფასებულია 2021 წლის 6 იანვარს განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების ზარალიც. დოკუმენტის თანახმად, 2021 წლის მაისისათვის თავდამსხმელების მიერ კაპიტოლიუმის შენობაზე მიტანილი იერიშის შედეგად მიყენებული ზარალი 1.5$ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, კოლუმბიის ოლქის პროკურორის ოფისი აგრძელებს გამოძიების ფედერალური ბიუროს ადგილობრივ ერთეულთან თანამშრომლობას იმ ადამიანებთან დაკავშირებით საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში, რომლებსაც ბრალად ედებათ ძალადობრივი ექსტრემისტული (და არამხოლოდ) ქმედებები 2021 წლის 6 იანვარს. დოკუმენტი ხაზს უსვამს საგამოძიებო სამუშაოების სისწრაფეს და მასშტაბს. იუსტიციის დეპარტამენტის თანახმად, 2021 წლის 6 იანვრის თავდასხმაზე პასუხისმგებელი ყველა პირი იდენტიფიცირებული და სამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემული იქნება.

კაპიტოლიუმზე თავდასხმის საგამოძიებო კომისიის თანახმად 2022 წლის ნოემბრისათვის 725 ადამიანია დაკავებული. იუსტიციის დეპარტამენტი ავრცელებს ინფორმაციას დაკავებული პირების სასამართლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით:

- 725 პირიდან 225-ზე მეტ პირს ბრალი წაუყენეს პოლიციის ოფიცერზე თავდასხმის, მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის შესრულებაში. აღნიშნული 225 პირიდან 75 ადამიანს ბრალად ედება ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო იარაღის გამოყენება და პოლიციის ოფიცრებისთვის სერიოზული ფიზიკური დაზიანებების მიყენება.

- იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, კაპიტოლიუმზე თავდასხმის შედეგად ფიზიკური დაზიანებები მიიღო 140-მა პოლიციის ოფიცერმა, რომლიდანაც 80 კაპიტოლიუმის, ხოლო და 60-მ მეტროპოლიტენის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელია.

- ამავე რეპორტზე დაყრდნობით, 10-მდე პირი დაკავებულია მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის ან მათი სამუშაო აღჭურვილობის განადგურების ბრალდებით.

- 640 პირს ბრალად ედება შეზღუდულ სივრცეებში შესვლა, იქ დროის დაყოფა და გადაადგილება. აღნიშნული 640 პირიდან 75 ადამიანი ასევე ბრალდებულია აღნიშნულ სივრცეში ადამიანის სიცოცხლისთვის საზიანო იარაღით შესვლაში, 45-ზე მეტი ადამიანი დაკავებულია სახელმწიფო ქონების განადგურების გამო, ხოლო 30 ადამიანს ედავებიან სახელმწიფო ქონების ქურდობას.
- საგულისხმოა, რომ სულ მცირე 275 ადამიანს ბრალად ედება ოფიციალური (სახელისუფლებო) პროცესებისათვის ხელის შეშლა, ხოლო 40 ადამიანი ბრალდებულია შეთქმულებებში კონგრესის და სამართალდამცავი ორგანოების სამუშაო პროცესის ჩაშლის და ოფიცრებისთვის ჯანმრთელობის დაზიანებების მიყენების შესახებ.
- 2022 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა 165 პირს, რომელთა შორის 145 მართლსაწინააღმდეგო ქცევას, ხოლო 20 მის დამამძიმებელ ფორმას ეხება.
- იუსტიციის დეპარტამენტი ავრცელებს ინფორმაციას სასჯელთან დაკავშირებითაც. 38 პიროვნებას სასჯელის სახით სხვადასხვა ხანგრძლივობის პატიმრობა შეეფარდა. 18 ადამიანი შინაპატიმრობაში რჩება.
- იუსტიციის დეპარტამენტმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, რომელიც დაეხმარა გამოძიების ფედერალურ ბიუროს და სამართალდამცავ ორგანოებს ბრალდებული პირების იდენტიფიცირებაში. გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საზოგადოების დახმარებით წარმატებით მოხდა 350 პირის იდენტიფიცირება.
- ამასთანავე, ფედერალური საგამოძიებო ბიურო დღეისათვის ფლობს 16 ვიდეოკადრს, რომელზეც ასახული არიან პოლიციის ოფიცრებსა და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმაში ბრალდებული პირები.

# 2022 წელს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები: დარია დუგინას მკვლელობა და თავდასხმა იჟევსკის 88-ე საჯარო სკოლაზე

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის პარალელურად იზრდება ტერორისტული თავდასხმების რიცხვი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. 2022 წელს რუსეთში განხორციელებული თავდასხმებიდან საგულისხმოა დარია დუგინას მკვლელობა და თავდასხმა იჟევსკის 88-ე საჯარო სკოლაზე.

ალექსანდრე დუგინის ქალიშვილი, დარია დუგინა 2022 წლის 20 აგვისტოს მოსკოვისკენ მიმავალ გზაზე ღამით, 9 საათსა და 45 წუთზე მანქანაში ააფეთქეს. [1]საგულისხმოა, რომ დარია აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის შეჭრას. რუსეთის დუმის ყოფილმა წევრმა, ილია პონომარევმა, აღნიშნულ თავდასხმაზე პასუხისმგებელ ჯგუფად ეროვნული რესპუბლიკური არმია დაასახელა, რომელიც მისი განმარტებით რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი იატაკქვეშა ორგანიზაციაა.

პონომარევის განცხადებებთან და მომხდართან დაკავშირებით რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო საგამოძიებო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გაავრცელა ინფორმაცია უკრაინული სპეცსამსახურების მიერ თავდასხმის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ. ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმაზე პასუხისმგებელ პირს საშუალო ასაკის ქალი წარმოადგენდა, რომელმაც თავდასხმის განხორციელების შემდეგ ესტონეთის საზღვარი გადაკვეთა. აღნიშნულ ბრალდებებს ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მორიგი პროვოკაცია უწოდა.

საგულისხმოა იჟევსკის 88-ე საჯარო სკოლაზე 2022 წლის 26 თებერვალს არტემ კაზანცევის მიერ განხორციელებული თავდასხმაც, რომლის დროსაც დაიღუპა 17 და მძიმედ დაშავდა 24 ადამიანი. იჟევსკის სკოლაზე თავდასხმა 10 საათსა და 52 წუთზე განხორციელდა. შეიარაღებულმა არტემ კაზანცევმა, 2 მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის და ამუნიციის დიდი მარაგის დახმარებით რამდენიმე საკლასო ოთახში გახსნა ცეცხლი.

თავდასხმის შედეგად დაღუპულთა შორის 7-15 წლამდე 11 სკოლის მოსწავლე, 2 მასწავლებელი და 2 ზრდასრული პიროვნებაა. ამასთანავე 24 დაშავებულიდან, 22 მცირეწლოვანი ბავშვია. დაშავებულთაგან ერთ-ერთი, 67 წლის ქალი, 2022 წლის 7 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში, გაიჩხრიკა კაზანცევის საცხოვრებელი და გამოიკვეთა მისი სავარაუდო კავშირი ნეონაცისტურ დაჯგუფებებთან. თავდამსხმელის მიერ გამოყენებულ ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენდა გადაკეთებული ტრამვატული იარაღი, რომელიც რეალურ ტყვიებს ისროდა. გამოძიების თანახმად, 34 წლის კაზანცევი თავდასხმის განხორციელების დროს ნაცისტურ სიმბოლიკას ატარებდა.

[1] Reuters (2022). Q+A the Killing of Russia's Dugina: Who Did It?

## გერმანიის ანტისემიტიზმთან გამკლავების ახალი ეროვნული სტრატეგია

ქვეყანაში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და რასობრივი და ეთნიკური ნიშნით მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემისტული ერთეულების (REMVEA) აქტივობის ზრდასთან ერთად, გერმანიაში ანტისემიტიზმთან გამკლავების ახალი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. დოკუმენტი უმეტესწილად 2002 წელს ანტისემიტიზმის, რასიზმის და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის ხედვას ეყრდნობა, რომელიც, თავის მხრივ ყურადღებას 4 ფუნდამენტზე ამახვილებს:

1. ადამიანთა უფლებების მხარდამჭერი პოლიტიკის და განათლების გაძლიერება;
2. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული ღირებულებების გამყარება;
3. ემიგრანტების გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
4. თავდამსხმელების და მათი გარემოს წინააღმდეგ მიღებული ზომები.

აღნიშნული გეგმა დადასტურდა 2022 წლის დეკემბერში 25 პირის სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე. ინიციატივა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისარ, ფელიქს კლეინს ეკუთვნის. დოკუმენ-ტი მეტწილად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს ეყრდნობა. საგულისხმოა, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე ჰალლეს სინაგოგაზე 2019 წელს განხორციელებული თავდასხმაც, საგულისხმოა, ფედერალური ანგარიშის თანახმად 2021 წელს გაიზარდა ანტისემიტიზმით მოტივირებულ ძალადობრივ დანაშაულთა რიცხვი. სტრატეგია შემუშავებული იქნა ევროკავშირის 2021 წლის მოწოდების შემდეგ წევრ სახელმწიფოებს წარმოედგინათ მსგავსი ხედვები ეროვნულ დონეზე.

# ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი იაპონიაში: შინძო აბეს მკვლელობა და ფუსაკუ შიგენობუს გათავისუფლება

## [შინძო აბეს მკვლელობა]

2022 წლის ყველაზე ცნობილ და გახმაურებულ პოლიტიკურ მკვლელობას წარმოადგენს იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, შინძო აბეზე მიტანილი ტერაქტი, რომელიც 8 ივლისს, იაპონიის საპარლამენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე საარჩევნო კამპანიის დროს მოხდა. აბეს მკვლელობა, როგორც იაპონელი ერისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი იყო, ვინაიდან იაპონიაში იარაღის ძალიან მკაცრი კანონებია და იარაღით ძალადობის ფაქტები მინიმუმამდეა დაყვანილი. ამასთან ერთად შინძო აბე იაპონიის ყველაზე ხანგრძლივი დროით არჩეული პრემიერ-მინისტრი იყო, რომელმაც იაპონიის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე მნიშვნელოვნად გაზარდა და გააძლიერა.

გამოძიება თავდამსხმელის მოტივებზე და უსაფრთხოების ზომებზე აღიძრა.[2] აბეს თავს დაესხნენ თანაპარტიელი პოლიტიკოსის კამპანიის მხარდაჭერის დრო ქალაქ ნარაში, ოსაკას მახლობლად. აბე თავისი გავლენების და ავტორიტეტის გამო პარლამენტის ზედა პალატის არჩევნების კამპანიის მთავარი ფიგურა იყო. სიტყვით გამოსვლის დროს მას უკნიდან, ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღის მქონე მამაკაცმა ახლო მანძილიდან ესროლა. აბე სამედიცინო ვერტმფრენით ნარას სამედიცინო უნივერსიტეტის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის გარდაცვლილად გამოცხადდა.

ექვმიტანილი, 41 წლის ტეცუია იამაგამი ადგილზე დააკავეს მკვლელობის მცდელობისთვის; ბრალდება მოგვიანებით, აბეს გარდაცვალების გამოცხადების შემდეგ გადაიზარდა მკვლელობაში. იამაგამიმ განუცხადა გამომძიებლებს, რომ მან ესროლა აბეს გაერთიანების ეკლესიის (UC) მიმართ მრისხანების გამო, რომელმაც 2002 წელს დედამისი გააკოტრა და რომელთანაც აბეს და მის ოჯახს პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ.[3] სავარაუდო მოტივმა UC-ის სავარაუდო პრაქტიკის მიმართ განახლებული ინტერესი გამოიწვია იაპონური საზოგადოებისა და მედიის მხრიდან, რადგან აღნიშნული რელიგიური გაერთიანება გადაჭარბებული შემოწირულობების მიღების მიზნით მორწმუნეებზე ზეწოლას ახდენდა. იაპონელი მაღალჩინოსნები და კანონმდებლები იძულებულნი გახდნენ საზოგადოებისთვის გაემხილათ თავიანთი ურთიერთობა UC-თან. პრემიერ მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ 2022 წლის 10 აგვისტოს შეცვალა სამთავრობო კაბინეტის შემადგენლობა, მაგრამ ერთ-ერთი შენარჩუნებული მინისტრი, დაიშირო იამაგივა, გადადგა 2022 წლის 24 ოქტომბერს, რადგან კაბინეტის დამტკიცება კვლავ UC-ის სკანდალის გამო ჭიანურდებოდა.[4]

აბეს მკვლელობა მრავალი ქვეყნის ლიდერისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა გასცა ბრძანება, რომ შეერთებული შტატების დროშები 2022 წლის 10 ივლისამდე დაშვებულიყო და ამასთან ერთად, ის იაპონიის საელჩოს სამძიმრის წიგნზე ხელმოწერისთვის პირადად ეწვია. ბანგლადეშის, ბრაზილიის, ინდოეთის, ნეპალის, ბჰუტანის, კამბოჯის, კუბისა და შრი-ლანკას მთავრობებმა შინძო აბეს გარდაცვალების გამო ქვეყნის მასშტაბით გლოვის დღე

[2] Shinzo Abe, Japan's former prime minister, assassinated during campaign speech - The Washington Post
[3] Suspect in Abe assassination was upset with the church's treatment of his mother - The Washington Post
[4] Japanese economic minister steps down over church links | Reuters

გამოაცხადეს.[5]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ ხაზი გაუსვა დემოკრატიის მნიშვნელობას ამ მოვლენის კონტექსტში, ვინაიდან სწორედ საარჩევნო კამპანიის დროს განხორციელდა თავდასხმა. რადგანაც ეს მოვლენა ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლებოდა გამოცხადებულიყო არჩევნების ჩატარებისთვის, კიშიდას გადაწყვეტილებით არჩევნები დათქმულ დროს მაინც ჩატარდა და მასში მონაწილეობა ამომრჩეველთა 52%-მა მიიღო და წინა არჩევნებთან შედარებით 3,2%-ით მეტი იყო.

შინძო აბე დაიბადა გამოჩენილ პოლიტიკურ ოჯახში და გახდა იაპონიის ყველაზე ხანგრძლივი პრემიერ მინისტრი, 2006-2007 წლებში და 2012-2020 წლებში. მას უკავშირდება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დანერგვა, თუმცა, აბეს საგარეო პოლიტიკის შედეგად, იაპონიის ურთიერთობები მეზობელ სამხრეთ-კორეასთან და ჩინეთთან უფრო დაიძაბა, რაც მისი ნაციონალისტური რიტორიკითა და ქვეყნის პაციფისტური კონსტიტუციის გადახედვის მოწოდებით იყო  განპირობებული.

## [ფუსაკუ შიგენობუს გათავისუფლება]

2022 წელს ტერორიზმთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას აჯანყებული დაჯგუფების, იაპონიის წითელი არმიის თანადამფუძნებლის, ფუსაკო შიგენობუს, 20 წლიანი პატიმრობის შემდეგ, ციხიდან განთავისუფლება წარმოადგენს. მან 1974 წელს ჰააგაში საფრანგეთის საელჩოს ალყაში მონაწილეობისთვის 20 წლიანი პატიმრობა მოიხადა. შიგენობუ იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალი 1970-იან და 1980-იან წლებში, როდესაც მისმა რადიკალურმა მემარცხენე დაჯგუფებამ, პალესტინის საქმის მხარდასაჭერად, მთელს მსოფლიოში შეიარაღებული თავდასხმები განახორციელა.

მისი ერთ დროს შიშისმომგვრელი არმია მიზნად ისახავდა, გახმაურებული ტერორისტული აქტების მეშვეობით, გლობალური სოციალისტური რევოლუციის პროვოცირებას. ისინი მძევლებად იყვანდნენ და იტაცებდნენ სამოქალაქო პირებს და ახორციელებდნენ სასიკვდილო თავდასხმას ისრაელის აეროპორტზე. ვარაუდობენ, რომ სწორედ შიგენობუ ხელმძღვანელობდა 1972 წელს თელ-ავივის ლოდის აეროპორტზე შეიარაღებულ თავდასხმას, რომლის შედეგადაც 26 ადამიანი დაიღუპა და 80 დაშავდა.[6]

შიგენობუს რადიკალური შეხედულებები ჩამოუყალიბდა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში, სადაც იგი შეუერთდა 1960-იანი წლების სტუდენტურ მოძრაობას იაპონიაში. საპროტესტო აქციები მიმართული იყო არა მხოლოდ იაპონიის მთავრობის, არამედ იაპონიაში აშშ-ს სამხედრო ყოფნის წინააღმდეგ და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. ათწლეულის გასვლასთან ერთად, იგი სულ უფრო მეტად ჩაერთო შეიარაღებულ წინააღმდეგობასა და რევოლუციურ პოლიტიკაში, მაშინ როცა გავრცელებულმა ფრაქციებმა იაპონიის სტუდენტური მოძრაობა მთლიანად მოიცვა.

1971 წელს ჯგუფის ნაწილმა, რომელსაც შიგენობუ ხელმძღვანელობდა, დატოვა იაპონია და გაემგზავრა ლიბანში პალესტინის საქმის მხარდასაჭერად, სადაც ისინი *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტთან* (PFLP) გაერთიანდნენ.[7]

[5] Brazil's Bolsonaro 'outraged' by Japan ex-PM Abe's killing, orders three-day mourning | Reuters
[6] Japanese Red Army founder Fusako Shigenobu freed from prison after 20 years | The Japan Times
[7] Japanese Red Army founder Shigenobu freed after 20 years - BBC News

ლიბანში ყოფნისას შიგენობუმ მუშაობა დაიწუო ჟურნალ „Al Hadaf“-ში, პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისში, მის მთავარ რედაქტორთან გასან კანაფანთან ერთად, რომელიც ასევე PFLP-ის წამყვანი წევრი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ შიგენობუ ფიზიკურად არ მონაწილეობდა თავდასხმებში, ის მაინც რჩებოდა ისრაელის JRA წევრების წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიები სამიზნედ. არაბულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელმა შიგენობუს მოკვლა სცადა იმ შენობების დაბომბვით, სადაც ის ცხოვრობდა.[8]

1974 წელს, იატაკქვეშა საქმიანობის დროს, PFLP-ის იაპონელმა მოხალისეებმა გადაწყვიტეს შეექმნათ პოლიტიკური ორგანიზაცია. შიგენობუ გახდა ამ ინტერნაციონალისტური მემარცხენე რევოლუციური ორგანიზაციის ლიდერი და სპიკერი, რომელმაც იაპონიის წითელი არმია (და არაბთა-წითელი არმია ადრეულ სტადიაზე) მიიღო. მათ ჩაატარეს რამდენიმე ოპერაცია „კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ სუბიექტების“ წინააღმდეგ, როგორიცაა კორპორაცია Shell სინგაპურში (1974 წელს), ასევე მოითხოვეს პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება ჰააგაში საფრანგეთის საელჩოს (1974 წელს) და კუალა ლუმპურში აშშ-ს საკონსულოს ალყაში (1975 წელს) მოქცევით. შემდგომში შიგენობუმ ჰააგის ინციდენტში მონაწილეობა უარყო.

76 წლის ფუსაკო შიგენობუ ათწლეულების განმავლობაში თავს არიდებდა დაკავებას, სანამ 2000 წელს არ დააპატიმრეს ოსაკაში, ცენტრალურ იაპონიაში, სადაც ის იმალებოდა. მთავრობამ მას ბრალი წაუყენა პასპორტის გაყალბებაში და შეთქმულებაში 1974 წელს ჰააგაში საფრანგეთის საელჩოში მძევლების აყვანის ოპერაციის დაგეგმვისას. პალესტინელ პატიმართა სოლიდარობის ქსელი, Samidoun იტყობინება, რომ პროკურატურამ არ წარმოადგინა შიგენობუს ჩართულობის კონკრეტული მტკიცებულება და დიდწილად ეყრდნობოდა 1970-იან წლებში მიღებულ „იძულებით“ აღიარებით ჩვენებებს, რომლებიც ამ მოწმეებმა სასამართლო პროცესის დროს გააუქმეს. მოსამართლემ ფუსაკო შიგენობუს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაპატიმრებიდან ერთი წლის შემდეგ, მან ჯგუფი დაშლილად გამოაცხადა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ პირადი მიზნებისთვის „უდანაშაულო ადამიანებს ზიანი მიაყენა“.[9]

[8] Fusako Shigenobu: The face of Japan’s female armed resistance (arabnews.com)
[9] Japanese Red Army founder Shigenobu freed from prison (france24.com)

# ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში; ალ-ზავაჰირის ლიკვიდაცია

## [ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია]

2022 წლის ოქტომბერში აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა, გამოაქვეყნა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც ყველა მანამდე გამოქვეყნებული ეროვნულუნი უსაფრთხოების დოკუმენტს აერთიანებდა. 2022 წლის ეროვნული სტრატეგია (NDS) ადგენს დეპარტამენტის სტრატეგიულ მიმართულებას და პრიორიტეტებს სამხედრო ძალებისთვის, სადაც ასახულია, თუ როგორ დაუპირი-სპირდება აშშ-ის არმია მზარდ საფრთხეებს მისი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის და სტაბილური და ღია საერთაშორისო წესრიგისთვის. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, აშშ-ს კონგრესი განიხილავს თავდაცვის შესაძლებლობებს საფრთხეების ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს ძალადობრივ ექსტრემიზმს (VE), ადგილობრივ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ ტერორიზმს.

ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციის მიერ 2022 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია განიხილავს მიმდინარე სტრატეგიებს ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული მუქარის წინააღმდეგ საბრძოლველად. დოკუმენტი ხელს უწყობს ამერიკის ჩართულობის არსებით გადახედვას კონტრ და ანტიტერორისტულ ოპერაციებში. აღნიშნული სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემიზმის ვითარებაზე სუბ-საჰარის რეგიონსა და ცენტრალურ აფრიკაში, ხოლო ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ და ცენტრალურ აზიაზე პოლიტიკის შენარჩუნებას უსვამს ხაზს. შეერთებული შტატების პრეზიდენტი მხარს უჭერს მოძველებული AUMF-ების გაუქმების მცდელობას და მომხრეა საჰაერო თავდასხმების გზით ფოკუსირებული ანტიტერორისტული ოპერაციების წამოწყების, რომელიც რეალურად ჩაანაცვლებს ადგილზე მყოფ სამხედროებს. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია გამოდის ალტერნატიული თანამედროვე საერთაშორისო პარტნიორობის ინიციატივით. ის ინარჩუნებს სიფხიზლეს, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტერორიზმისა და შიდა ექსტრემიზმის წინააღმდეგ.

## [ალ-ზავაჰირის ლიკვიდაცია]

ამერიკის მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევა 2022 წლის 31 ივლისს, გამთენიისას, ალ-ზავაჰირის ლიკვიდაცია უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით, რომელიც განხორციელდა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ქაბულის მაღალგანვითარებულ შერპურის უბანში.[10] აიმან ალ-ზავაჰირი იყო ალ კაიდას მთავარი იდეოლოგი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძებნილი ტერორისტი, რომელმაც წვლილი შეიტანა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების დაგეგმვაში. ყველასგან მალულად, აიმან ალ-ზავაჰირიმ კოორდინირება გაუწია ალ კაიდას ქსელს მოეწყო ტერორისტული თავდასხმები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, უზრუნველყო ისინი ოპერაციული ხელმძღვანელობით და შთააგონა სხვებს შეერთებულ შტატებზე ყველა შესაძლო გზით მიეტანათ იერიში. ალ-ზავაჰირიმ ავღანეთში დასავლეთის მხარდაჭერილი მთავრობის დამხობის შემდეგ, თავისი თავშესაფარი იპოვა. ალ-ზავაჰირის სამალავი რამდენიმე დასავლური ქვეყნის საელჩოს მახლობლად მდებარეობდა, რამაც განსაზღვრა სამხედრო ინტერვენციის აუცილებლობა. აიმან

[10] U.S. Drone Strike in Kabul Kills Top Qaeda Leader, Ayman al-Zawahri - The New York Times (nytimes.com)

ზავაჰირი ქაბულში სამალავი სახლის აივანზე იმყოფებოდა, როდესაც ამერიკულმა უპილოტო თვითმფრინავებმა მას ორი მილის მანძილიდან ცეცხლი გაუხსნეს ისე, რომ არ მიყენებულიყო დიდი ზიანი. ალ-ზავაჰირის მკვლელობის ოპერაციამ ალ კაიდას, დაეშის და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ უწყვეტ ბრძოლაში აშშ-ის ჩართულობა კიდევ უფრო გააძლიერა.

## ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი აფრიკის კონტინენტზე: M23 კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში; აფრიკული სახელმწიფოები იარაღის ემბარგოს წინააღმდეგ

23 მარტის მოძრაობა (M23) კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ამბოხებული სამხედროების დაჯგუფებაა, რომელიც ძირითადად შედგება ეთნიკური ტუტსებისგან და ოპერირებს კონგოს ჩრდილოეთ პროვინცია კივუში. მოძრაობამ კონფლიქტის ადრეულ ფაზაში დაიკავა ქალაქი გომა, რომელიც პროვინციის დედაქალაქია და სტრატეგიული ცენტრია, მდებარეობს კივუს ტბაზე, დიდი ტბების რეგიონში და ამავდროულად რუანდის საზღვრის სიახლოვეს.[11] ამბოხებული ჯგუფი ათ წელზე მეტია მოქმედებს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამ პერიოდის მანძილზე იყო მოლაპარაკებების მრავალი მცდელობა ამბოხებულებსა და მთავრობას შორის, თუმცა, აღნიშნული შეთანხმებები ირღვევა და კონფლიქტი დღემდე აქტიურია. ამბოხების პირველი ფაზა 2013 წელს მთავრობასთან სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა, თუმცა 2017 წელს M-23-ის ლიდერმა გენერალმა მაკენგა სულთანმა მის დაახლოებით 100-200 თანამოაზრესთან ერთად წამოიწყო ამბოხების ახალი ეტაპი და შექმნა ამბოხებულთა ბანაკი რუანდის, უგანდისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების სიახლოვეს.

სამხედრო კონფლიქტში 2010 წლიდან ჩართულია გაეროს სპეციალური სამშვიდობო მისია, რომლის მანდატის მთავარ მიმართულებასაც მშვიდობიანი მოსახლეობისა და ჰუმანიტარული მისიის კადრების დაცვა წარმოადგენს. გაეროს მისია - MONUSCO, მხარს უჭერს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ეხმარება მას სიტუაციის სტაბილიზაციაში და ყველა ძალისხმევაში მშვიდობის მისაღწევად[12]. 2022 წლის მარტში M-23-ის თავდასხმების სამიზნეს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალების გარდა წარმოადგენდა MONUSCO-ს წარმომადგენლები და ინფრასტრუქტურა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან დაწყებული ამბოხების ავტორები არ წარმოადგენენ თავდაპირველ მოძრაობას, არამედ მათ მხოლოდ ერთ განშტოებას. 2022 წლის 27 მარტიდან M-23-ის თავდასხმები ისევ აქტიური გახდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ პროვინციებში[13], კონგოს ხელისუფლებამ კი ამ თავდასხმების დახმარებასა და ორგანიზებაში დაადანაშაულა რუანდა და ამჟამინდელი პრეზიდენტის პოლ კაგამეს მთავრობა, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლიდან არის შემჩნეული კავშირში ამბოხებულ მოძრაობასთან. ბრალდებების მიუხედავად, რუანდის მთავრობა აღნიშნულ კავშირებს უარყოფს[14]. M-23-ის მოძრაობის დინამიკა უარყოფიდან აისახა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუანდას შორის სახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე, 2022 წლის ოქტომბერში კონგომ რუანდის ელჩს ვინსენტ კარენგას 48 საათი მისცა ქვეყნის ტერიტორიის დასატოვებლად[15]. ასევე, კონგოს უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნებმა და კონგოს პარლამენტის წევრებმა დაადანაშაულეს უგანდა M-23-ის მოქმედებების ფასილიტაციაში, კერძოდ, გამოიკვეთა უგანდელი გენერალი მუჰუზი კეინერუბა, რომელმაც შეაჩერა ოპერაცია შუჯა M-23-ის ძალების წინააღმდეგ[16]. ამ მოვლენების შემდეგ, კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეწყვიტა სამხედრო თანამშრომლობა უგანდასთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაეროს მისიამ კონგოში აღნიშნული ბრალდებები უგანდის წინააღმდეგ

[11] DRC rebels capture Goma without firing a shot
[12] MONUSCO FACT SHEET
[13] M23 rebels resurface in DR Congo
[14] Rwanda denies backing armed group in DRC
[15] Congo Expels Rwanda Ambassador as M23 Rebels Capture Strategic Town
[16] Fresh fighting erupts in Bunagana

არარელევანტურად და მცდარად მიიჩნია და მოუწოდა მხარეებს ძალების გაერთიანებისკენ ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ[17].

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ასევე დაადანაშაულა M-23-ის ამბოხებულები 2022 წლის მარტში სოფელ კიშიშეში ხოცვა-ჟლეტის მოწყობაში და ქალებზე ძალადობაში[18]. 2022 წლის ნოემბერში ამბოხებულთა არმიამ ისევ დაიკავა ქალაქი გომა, სადაც დაახლოებით 180 000 ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი აღნიშნული თავდასხმის გამო. სამხედრო შეტაკებების ამ ეტაპზე M-23-მა განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ პროვინციებს და მის სტაბილურობას. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონგოელების ნაწილი მოხალისეობრივად ერთვებოდა შეტაკებებში ამბოხებულთა ჯგუფის წინააღმდეგ[19]. 2022 წლის ივნისში შეტაკებები განსაკუთრებით აქტიური იყო ქალაქ ბუნაგანაში, აჯანყებულები თავს ესხმოდნენ გაეროს მისიის წარმომადგენლებს, ასევე კონგოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიგერიეს M-23-ის თავდასხმა ბუკავუში ბელგიის მეფის, ფილიპის ვიზიტისას[20]. ივლისიდან M-23-მა დაკავებულ ტერიტორიებზე პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშნა საკუთარი წარმომადგენლები და გაზარდა გადასახადები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გომასა და სხვა ქალაქებში ამ გადაწყვეტილებას ძალადობრივი პროტესტები მოჰყვა, მათ შორის MONUSCO-ს სამშვიდობო მისიის წინააღმდეგ, რომლებმაც კონგოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად განაცხადეს ძალების დისლოკაციის შესახებ სხვა რეგიონებში თავდასხმებისთვის მოსამზადებლად[21].

2022 წლის ოქტომბრიდან აღმოსავლეთ აფრიკის თანამეგობრობა ჩაერთო მოლა-პარაკებებში, რათა უმოკლეს დროში შეწყვეტილიყო სამხედრო შეტაკებები დიდი ტბების რეგიონში[22]. 25 ნოემბერს კი სამხედრო დაჯგუფება M-23 დათანხმდა საზავო ხელშეკრულებას კონგოს დემოკრატიულ მთავრობასთან. თუმცა, ქალაქ გომას გათავისუფლებისთვის და სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებისთვის ამბოხებულებს საკუთარი მოთხოვნები ჰქონდათ. M-23-ის მიერ წარმოდგენილ პირობებში შედიოდა პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივი გათავისუფლება, სხვა შეიარაღებული ჯგუფების გაძევება კონგოს ტერიტორიიდან, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია FDLR - რუანდის გათავისუფლების დემოკრატიული ძალები, რომელიც ეთნიკურად ჰუტუ ხალხისგან შედგება, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ტუტსის ხალხის გენოციდში 90-იან წლებში[23]. სწორედ აღნიშნული პირობების საფუძველზე, ამბოხებულთა დაჯგუფება M-23 დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას[24]. ასევე, საგულისხმოა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუანდის წარმომადგენლებს შორის ანგოლის ტერიტორიაზე, რაზეც M-23-ის წარმომადგელები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული მოლაპარაკებები მათ არ ეხებოდათ და ითხოვდნენ პირდაპირ კომუნიკაციას კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებ-თან[25]. 25 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამჟამად ძალაშია, თუმცა აქტიურმა შეტაკებებმა 2022 წელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ინფრასტრუქტურას და მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთ პროვინციებში ჰუმანიტარუ-ლი სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

---

[17] Prise de Bunagana : « Nous n'avons rien vu, ni entendu que les Ougandais auraient trahi leurs alliées FARDC » (MONUSCO)
[18] M23 rebels accused of civilian massacre as ceasefire collapses in eastern DRC
[19] M23 rebellion in DRC: Hundreds of young people ready to join the army
[20] Belgian King Ends DR Congo Tour on Visit to Volatile East
[21] At least 15 killed as anti-UN protests spread in eastern DR Congo
[22] DR Congo: East African countries meet in bid to end violence
[23] DR Congo rebels set conditions for Goma exit
[24] M23 accept conditional ceasefire, want talks with DRC government
[25] M23 rebels 'not really concerned' by Rwanda-DR Congo ceasefire deal

## [სომალი, უგანდა და ეთიოპია იარაღის ემბარგოს წინააღმდეგ]

სომალის ნახევარკუნძულზე უმძიმესი ჰუმანიტარული მდგომარეობა ათწლეულების მანძილზე მუდმივად აქტუალურია, ამასთან, სუსტი მმართველობის და საზღვრების კონტროლის პრობლემები სომალის სახელმწიფოსთვის კრიტიკულად დამაზიანებელი აღმოჩნდა. არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციისა და სამოქალაქო ომის გამო გაეროს უშიშროების საბჭომ 1992 წელს გამოაცხადა ემბარგო სომალისთან იარაღით ვაჭრობის მიმართულებით, დღემდე აღნიშნული ემბარგო გაეროს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სანქციაა. 2000-იანი წლებიდან კი, მრავალ არსებულ გამოწვევის გარდა, სომალი სალაფისტური ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის თავდასხმების სამიზნედ იქცა. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა საკითხი, თუ რამდენად სწორია სომალისთვის იარაღის ემბარგოს შენარჩუნება იმ დროს, როდესაც ქვეყანა ტერორისტული ორგანიზაციიდან მომავალ საფრთხეს უნდა უმკლავდებოდეს და იცავდეს საკუთარ მოსახლეობას. საკითხის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია უგანდისა და ეთიოპიის საკითხის გაანალიზებაც, აღნიშნული სახელმწიფოები თავის მხრივ ასევე არიან ტერორისტული საფრთხეების და უსაფრთხოების მრავალი გამოწვევის პირისპირ, ამავდროულად ითხოვენ სომალის-თვის იარაღის ემბარგოს გაუქმებას.

2022 წელს გაერომ სომალის მიმართ დაწესებული იარაღის ემბარგო მტკიცედ შეინარჩუნა, რის უმთავრეს მიზნადაც დასახელდა ალ-შაბაბის მიერ იარაღის მოპოვების რისკების თავიდან არიდება[26]. გაეროს რეზოლუციაში ასევე გამოთქმულია შეშფოთება იმის შესახებ, რომ სირიასა და ერაყში პოზიციების დაკარგვის შემდგომ ისლამური სახელმწიფოსთან აფილირებული ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციების ნაწილმა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა და სომალიში ოპერირებენ, რაც კიდევ უფრო უქმნის საფრთხეს რეგიონის უსაფრთხოებას და მშვიდობას. რეზოლუცია ემბარგოს შენარჩუნების მიუხედავად უშვებს კონკრეტული ტიპისა და სპეციფიკის შეიარაღების მიწოდებას სომალის ტერიტორიაზე, რაც გაეროში გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლის თანახმად, შეესაბამება სომალის სახელმწიფოს პროგრესს შეიარაღების მართვისა და საზღვრების კონტროლის მიმართულებით.

სომალის მოქმედი მთავრობა პრეზიდენტ ჰასან შეიხ მოჰამადის მეთაურობით აქტიურადაა ჩართული ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის მათი ფინანსური ინფრასტრუქტურის განადგურების მიმართულებით. 2022 წლის 7 დეკემბერს სომალის ჯარმა წარმატებას მიაღწია ჰირშაბალეს რეგიონში და დაიკავა ქალაქი ადან იაბალ, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში ალ-შაბაბის მებრძოლების მიერ იყო დაკავებული[27]. გაეროში სომალის ელჩმა, აბუკარ ოსმანმა განაცხადა, რომ აღნიშნული სანქცია ხელს უშლის სომალის ძალისხმევას აღადგინოს ქვეყნის უსაფრთხოების ძალები ალ-შაბაბისგან მომავალი საფრთხეების გასამკლავებლად[28]. ოსმანის თქმით, სომალის ჯარმა შეიარაღების დიდი ნაწილი ალ-შაბაბის მებრძოლების წინააღმდეგ შეტაკებებისას დაკარგა, რის გამოც, აუცილებელია სომალის სამხედრო შესაძლებლობების აღდგენა, განსაკუთრებით ხაზგასმულია მაღალი კალიბრის შეიარაღების საკითხი, რომლის გარეშეც, სომალის ოფიციალური წარმომადგენლების ცნობით, შეუძლებელია ალ-შაბაბის თავდასხმების მოგერიება.

საგულისხმოა, რომ სომალის უსაფრთხოებისა და სამხედრო ძალების სრულად განადგურების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები შეძლებენ სომალის ტერიტორიების დაკავებას და პოზიციების გაძლიერებას, რაც მათ საშუალებას მისცემს თავს დაესხან აფრიკის კონტინენტის სხვა სახელმწიფოებს და საფრთის ქვეშ დააყენონ სხვა ქვეყნების უსაფრთხოება.

[26] UN extends Somalia arms embargo amid government dissatisfaction
[27] Somalia forces and allies retake key town from al-Shabab
[28] UN extends Somalia arms embargo amid government dissatisfaction

გაეროს მიერ ემბარგოს შენარჩუნების გადაწყვეტილების მიუხედავად, აფრიკაში არსებობენ სახელმწიფოები, მაგალითად უგანდა და ეთიოპია, რომლებიც მხარს უჭერენ სომალის შეიარაღების ემბარგოს გაუქმებას. 2022 წლის აგვისტოში სომალის პრეზიდენტის სამდღიანი ვიზიტისას უგანდის დედაქალაქში ორმა სახელმწიფოს ლიდერმა დაადასტურა მათი მტკიცე მოთხოვნა შეჩერდეს იარაღის ემბარგო, რათა სომალის ჰქონდეს საშუალება დაიცვას საკუთარი ტერიტორია და მოსახლეობა. უგანდაში ასევე გაიმართა სომალისა და უგანდის საერთო ბიზნეს ფორუმი და სომალის პრეზიდენტმა მოინახულა უგანდის სამხედრო შეიარაღების მთავარი საწარმო - Luwero Industries[29]. ეთიოპიის მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხში დიდწილად განაპირობა 2022 წლის ივლისში ეთიოპიის ტერიტორიაზე ისლამისტი მებრძოლების უეცარმა თავდასხმებმა, რამაც ნათლად გამოაჩინა ის რეალური საფრთხეები, რის წინაშეც სომალის მეზობელი სახელმწიფოები და მთელი რეგიონი აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ისლამისტური ტერორისტული სახელმწიფოები არ შეჩერდებიან სომალიში[30]. სომალიში დაფუძნებულმა ანალიტიკურმა ცენტრმა "Hiraal Institute"-მა ჯერ კიდევ თებერვალში გამოქვეყნებულ ანგარიშში განაცხადა, რომ სომალის მიმართ დაწესებული ემბარგო რეალურად ვერ ასრულებს მის უმთავრეს მიზანს - შეაჩეროს ალ-შაბაბის მიერ იარაღის კონტრაბანდა და შესაბამისად, საჭიროა სომალის სამხედრო შესაძლებლობების გაზრდა მსგავსი საფრთხეების პირისპირ. ივლისში სომალის პრეზიდენტმა მოუწოდა აფრიკის კავშირის ქვეყნებს გაერთიანებულიყვნენ ემბარგოს წინააღმდეგ ხმის მისაცემად, თუმცა 2022 წლის ნოემბერში გაეროში რეზოლუციის კენჭისყრისას სომალის ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამასთან, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ეთიოპია და უგანდა უკვე მრავალი წელია მხარს უჭერენ სომალის სახელმწიფოს ემბარგოს კრიზისის დაძლევაში, ჯერ კიდევ 2008 წელს ისმოდა ბრალდებები ამ ორი სახელმწიფოს მისამართით, რომ ისინი უკანონოდ ცვლიდნენ იარაღს სომალისთან და ამით არღვევდნენ გაეროს მიერ დაწესებულ ემბარგოს[31]. სომალიში არსებული ჰუმანიტარული სიტუაცია კვლავ კრიტიკულად მძიმეა, შეიარაღებაზე დაწესებული ემბარგოს ფონზე კი საეჭვოა რამდენად შეძლებს სომალი ტერორისტული საფრთხეების გამკლავებას და არის თუ არა მზად იმისათვის, რომ ემბარგოს გაუქმების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეამციროს შეიარაღების ალ-შაბაბის ხელში ჩაგდების რისკები.

[29] Lift arms embargo on Somalia, Museveni, Mohamud urge UN
[30] Somalia: Lifting Arms Embargo Key to Battling Islamist Militants
[31] Ethiopia, Uganda deny breaking U.N. Somali arms ban

## 21 წელი 11 სექტემბრის თავდასხმიდან: 2022 წელს ალ კაიდას მიერ გამოქვეყნებული სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტიდან 21 წლის შემდეგ, 2022 წელს ალ კაიდამ გამოაქვეყნა 271 გვერდიანი დოკუმენტი, სადაც საუბარია 9/11-ის ტერორისტული აქტის დაგეგმვისა და განხორციელების დეტალებზე, და ამასთან ტერორისტული აქტის რეალურ მიზნებზე, რაც 2001 წელს ალ-კაიდას ამოძრავებდა. აღნიშნული დოკუმენტის ავტორად ითვლება ალ-კაიდას ერთ-ერთი მაღალი რანგის ლიდერი აბუ მუჰამედ ალ-მასრი.

აბუ მუჰამედ ალ-მასრი დოკუმენტში ადასტურებს ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმის დაგეგმვას 1996 წლიდან. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში 9/11-ის ტერორისტული თავდასხმის უმთავრეს მიზნად დასახელებულია აშშ-ს ჩაბმა გრძელვადიან ომში. ერთის მხრივ, საეჭვოა რამდენად იყო აღნიშნული ტერორისტული თავდასხმის რეალური მიზანი 2001 წელს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია დოკუმენტის გავლენა თანამედროვე დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთის და ტერორიზმის კონტექსტში.

2001 წლის 9/11-ის ტერორისტულმა თავდასხმამ მთლიად შეცვალა აშშ-სა და ევროპის პოლიტიკა. ბუშის დოქტრინა კარდინალური ცვლილებების ნათელი მაგალითია, სადაც ხაზგასმულია, რომ აშშ-მ არ უნდა უცადოს თავდასხმას მის ტერიტორიაზე, არამედ გაანეიტრალოს თავდასხმის შესაბამისი რისკები ჩანასახშივე[32]. აღნიშნულ დოქტრინას მოჰყვა ამერიკული შეიარაღებული ძალების ინტერვენცია ავღანეთსა და ერაყში, რაც უფრო და უფრო კონტროვერსიული ხდებოდა წლების განმავლობაში. 2001 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაცია ავღანეთში ალ-კაიდას ბაზების წინააღმდეგ იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ამოქმედდა NATO-ს მე-5 მუხლი და სამხედრო ინტერვენციაში ჩაერთო ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის გაერთიანებული ძალები.

ავღანეთში ამერიკული მისია 9/11-ის ტერორისტული აქტიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, 2021 წლის ზაფხულში დასრულდა და ბოლო ამერიკელმა სამხედროებმა საბოლოოდ დატოვეს ავღანეთის მიწა[33]. შეიძლება ითქვას, რომ აშშ ავღანეთში მართლაც გრძელვადიან, თუმცა არა დაუსრულებელ ომში ჩაება. ალ-კაიდას მიერ გავრცელებული დოკუმენტის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია აშშ-ს შიდა პოლიტიკისა და მოსახლეობის სენტიმენტების გათვალისწინებაც, რომლებიც სულ უფრო და უფრო კრიტიკულად უყურებდნენ აშშ-ს ხანგრძლივ ომს ავღანეთში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკელმა საზღვაო ძალების ოფიცრებმა მოკლეს ბინ ლადენი პაკისტანში. ამასთანავე, საგულისხმოა ბაიდენის ადმინისტრაციის 2022 წელს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, სადაც აქცენტირებულია აშშ-ს სრულმასშტაბიანი სამხედრო ჩართულობის დასრულება ახლო აღმოსავლეთში და სანაცვლოდ გადასვლა წერტილოვანი თავდასხმების გამოყენებაზე კრიტიკული მნიშვნელობის სამიზნეების წინააღმდეგ. ასევე, აშშ-ს ძალების მიერ ავღანეთის ტერიტორიის დატოვებისა და ავღანეთში თალიბანის ძალების მოსვლის შემდეგ, ამერიკულმა დაზვერვამ განახორციელა წარმატებული ოპერაცია და მოკლა ალ-კაიდას ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ლიდერი აიმან ალ-ზავაჰირი, რაც მიუთითებს აშშ-ს ახალი სტრატეგიის წარმატებაზე.

ამერიკული შეიარაღებული ძალების 20 წელი ავღანეთის მიწაზე შესაძლოა ჩანდეს, როგორც ალ-კაიდას თავდაპირველი მიზნის წარმატებული განხორციელება. თუმცა,

[32] The Bush Doctrine
[33] Last U.S. troops depart Afghanistan after massive airlift ending America's longest war

აღნიშნული ინტერვენცია დასრულდა 2021 წელს და ამასთან კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება საკითხი, რეალურად იყო თუ არა აშშ-ს ჩათრევა გრძელვადიან ომში ალ-კაიდას ლიდერების ჭეშმარიტი მიზანი 2001 წელს, როდესაც მათ დამანგრეველი თავდასხმა განახორციელებს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებზე, თუ აღნიშნული ახსნა იყო მხოლოდ კონფლიქტში მიღწეული წარმატების აქცენტირების საშუალება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

# დასკვნა

2022 წელს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული სურათი მეტნაკლებად 2021 წლის მსგავსია. წინამდებარე დოკუმენტი 2022 წელს ტერორიზმთან, ძალადობრივი ექსტრემიზმთან, კონტრტერორიზმსა და ანტიტერორიზმთან დაკავშირებულ ძირითად მოვლენებად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში შემუშავებულ სტრატეგიებს, იაპონიაში შინძო აბეს მკვლელობას და ფუსაკუ შიგენობუს გათავისუფლებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტოლიუმის თავდასხმის შესახებ მიმდინარე საგამოძიებო სამუშაოებს ასახელებს. დოკუმენტში ასევე განხილულია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში M-23 დაჯგუფების გააქტიურება და აფრიკული სახელმწიფოების, სომალის, უგანდის და ეთიოპიის თანამშრომლობა გაეროს იარაღის ემბარგოს წინააღმდეგ. ანგარიში განიხილავს ალ კაიდას ლიდერების ავტორობით შექმნილ დოკუმენტს 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შესახებ, რომელიც მიმდინარე წელს გამოქვეყნდა.

## გამოყენებული მასალები


Reuters (2022). Q+A the Killing of Russia's Dugina: Who Did It?

Shinzo Abe, Japan's former prime minister, assassinated during campaign speech - The Washington Post

Suspect in Abe assassination was upset with the church's treatment of his mother - The Washington Post

Japanese economic minister steps down over church links | Reuters

Brazil's Bolsonaro 'outraged' by Japan ex-PM Abe's killing, orders three-day mourning | Reuters

Japanese Red Army founder Fusako Shigenobu freed from prison after 20 years | The Japan Times

Japanese Red Army founder Shigenobu freed after 20 years - BBC News

Fusako Shigenobu: The face of Japan’s female armed resistance (arabnews.com)

Japanese Red Army founder Shigenobu freed from prison (france24.com)

U.S. Drone Strike in Kabul Kills Top Qaeda Leader, Ayman al-Zawahri - The New York Times (nytimes.com)

DRC rebels capture Goma without firing a shot

MONUSCO FACT SHEET

M23 rebels resurface in DR Congo

Rwanda denies backing armed group in DRC

Congo Expels Rwanda Ambassador as M23 Rebels Capture Strategic Town

Fresh fighting erupts in Bunagana

Prise de Bunagana : « Nous n’avons rien vu, ni entendu que les Ougandais auraient trahi leurs alliées FARDC » (MONUSCO)

M23 rebels accused of civilian massacre as ceasefire collapses in eastern DRC

M23 rebellion in DRC: Hundreds of young people ready to join the army

Belgian King Ends DR Congo Tour on Visit to Volatile East

At least 15 killed as anti-UN protests spread in eastern DR Congo

DR Congo: East African countries meet in bid to end violence

DR Congo rebels set conditions for Goma exit

M23 accept conditional ceasefire, want talks with DRC government

M23 rebels 'not really concerned' by Rwanda-DR Congo ceasefire deal